585
1970/2

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 3 (350)

1970 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 3 (350) მარტი 1970 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.

33. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზესტაფონის, ხაშურის, ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში სახალხო მსაჯულებთან მუშაობის შესახებ.

34. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წყალტუბოს, დმანისის და ასპინძის რაიონებში ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

განყოფილება მეორე

36. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საიუბილეო მედლით „მამაცური შრომისათვის. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად" დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „მებრძოლის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ლ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. გოგიჩაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1363

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ფ. გოცირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ წ. ა. თორგომიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. ხოდელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. ნ. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. მ. უკლებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. ჩხობაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანებისათვის მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ მაღალძაბვიანი ელექტროქსელების (საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების, მიწისქვეშა საკაბელო ქსელების და სხვ.) დაზიანება, რის შედეგადაც შეფერხდა მომხმარებელთათვის ელექტროენერგიის მიწოდება და ზარალი განიცადა სახალხო მეურნეობამ, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით, შემდეგი ოდენობით: მოქალაქეთა მიმართ — 25 მანეთამდე და თანამდებობის პირთა მიმართ — 50 მანეთამდე, თუ ეს მოქმედება არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

2. დაჯარიმებას აწარმოებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები მაღალი ძაბვის ელექტროქსელის გამგებელი ორგანიზაციის საამისოდ რწმუნებულ თანამდებობის პირთა მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე.

3. მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანების შედეგად სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება წარმოებს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 24 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33 ზესტაფონის, ხაშურის, ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში სახალხო მსაჯულებთან მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზესტაფონის, ხაშურის, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სახალხო მსაჯულებთან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასამართლოს საქმიანობაში, მჭიდრო კავშირი აქვთ თავიანთ ამომრჩევლებთან. სახალხო მსაჯულთა საბჭოები საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესრულებისადმი, ამოწმებენ პირობით მსჯავრდებულ და თავდებქვეშ გადაცემულ პირთა ქცევასა და შრომით საქმიანობას, დახმარებას უწევენ ამხანაგურ სასამართლოებს.

ამასთან ერთად, აღნიშნულ რაიონებში სახალხო მსაჯულებთან მუშაობა ხასიათდება რიგი ნაკლოვანებებით.

მსაჯულთა ერთი ნაწილი საერთოდ არ მონაწილეობს სასამართლოს მუშაობაში, მაშინ როდესაც, ზოგიერთი მსაჯული საქმის სასამართლო განხილვაში გაცილებით მეტჯერ არის დაკავებული, ვიდრე ეს კანონითაა დადგენილი. მაგალითად, გასულ წელს ხაშურის რაიონში სასამართლო პროცესებში მონაწილეობა მიიღო სახალხო მსაჯულთა მხოლოდ 41 პროცენტმა, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში კი — 50 პროცენტმა.

სახალხო მსაჯულები ყოველთვის არ მონაწილეობენ ამომრჩევლებისათვის სასამართლოს მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებაში. მაგალითად, ზესტაფონის რაიონში ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარებაში მონაწილეობდა სახალხო მსაჯულთა მხოლოდ 13 პროცენტი, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონში კი — 3 პროცენტი. ხშირია შემთხვევები, როცა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები სამუშაოდან არ ათავისუფლებენ მსაჯულებს სასამართლოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად (ქ. თბილისის ხორცის კომბინატი, ფეხსაცმელების № 1 ფაბრიკა, სათამაშოების ფაბრიკა და სხვ.).

ჯეროვნად არ არის მოწყობილი სახალხო მსაჯულებთან მუშაობა მათი იურიდიული ცოდნის დონის ასამაღლებლად. მეცადინეობები არ ეწყობა დაწესებულ ვადებში, ხშირია მსაჯულთა მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები, სახალხო მსაჯულებთან ლექცია-მოხსენებების ჩატარებაში თითქმის არ მონაწილეობენ პროკურატურისა და ადვოკატურის მუშაკები.

ნაკლოვანებებია სახალხო მსაჯულთა საბჭოების მუშაობაში. მათს საქმიანობაში არასაკმარისად არის ჩაბმული აქტივი და რაც მთავარია, მსაჯულთა უმრავლესობა.

არსებული ნაკლოვანებანი განპირობებულია იმითაც, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ჯერ კიდევ არ უწევს სათანადო კონტროლს მსაჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებთან სახალხო სასამართლოების მუშაობას და არ ეხმარება მათ აღნიშნულ საქმის უკეთ დაყენებაში. სახალხო სასამართლოების შემოწმების დროს ეროვანი ყურადღება არ ეთმობა სახალხო მსაჯულებთან მუშაობის საკითხს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი ნაკლებად იხილავს აღნიშნულ საკითხზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას.

მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის, ხაშურის, ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოების აღმასკომები საჭირო ყურადღებას არ უთმობენ სახალხო მსაჯულებთან მუშაობის მდგომარეობის შესწავლას, არ ეხმარებიან მათ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სახალხო მსაჯულებთან მუშაობის სწორი ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად;

ბ) შეისწავლოს რესპუბლიკაში მსაჯულთა საბჭოებისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის პრაქტიკა, პერიოდულად რაიონებისა და ზონების მიხედვით ჩაატაროს თათბირ-სემინარები მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და მსაჯულთა საქმიანობის ცალკეულ პრაქტიკულ საკითხებზე;

გ) შეიმუშაოს და სახალხო სასამართლოებს პერიოდულად დაუგზავნოს მეთოდური წერილები მსაჯულებთან და მსაჯულთა საბჭოებთან მუშაობის საკითხებზე, მიიღოს საჭირო ზომები მოსამართლეებისა და მსაჯულების იურიდიული ცოდნის დონის ასამაღლებლად;

დ) გააძლიეროს მომთხოვნელობა სახალხო მოსამართლეების მიმართ სახალხო მსაჯულებთან მუშაობის გაუმჯობესების საქმეში; სასამართლოს საქმიანობის შეფასების დროს სათანადო ყურადღება მიაქციოს მსაჯულებთან მუშაობის საკითხს.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის, ხაშურის, ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საჭირო დახმარება გაუწიონ სახალხო მოსამართლეებს მსაჯულებთან მუშაობის გაუმჯობესებაში, პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ეს საკითხი; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ სახალხო მსაჯულებმა ანგარიში ჩააბარონ ამომრჩევლებს სასამართლოში ჩატარებული მუშაობის შესახებ, მიიღონ ზომები იმ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც სახალხო მსაჯულებს არ უქმნიან საჭირო პირობებს სასამართლოების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

3. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1970 წლის ბოლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 24 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34 დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წყალტუბოს, დმანისის და ასპინძის რაიონებში ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წყალტუბოს, დმანისის და ასპინძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესასრულებლად. აღნიშნული საკითხი აღმასრულებელმა კომიტეტებმა განიხილეს როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი.

აღმასრულებელი კომიტეტები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში: აწყობენ საინსტრუქტაჟო თათბირებს, ეხმარებიან საანგარიშო კრებების მოწყობაში, ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების აღრიცხვაში და სხვა. წყალტუბოსა და ასპინძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შეამოწმეს დეპუტატების მიერ დაყენებულ წინადადებათა აღრიცხვისა და შესრულების მდგომარეობა.

დეპუტატების ინიციატივითა და ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით ამ რაიონებში ბევრი რამ გაკეთდა დასახლებული პუნქტებისა და გზების კეთილმოწყობისათვის, კულტურის, განათლების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

წყალტუბოს რაიონში კაპიტალურად შეკეთდა 27 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზა, რაიონის ცენტრში 17 ჰექტარზე გაშენდა ახალი პარკი, ამომრჩეველთა მოთხოვნის შესაბამისად სოფლებში ფარცხანაყანევში, ოფშკვითში და საყულიაში მოეწყო ავტომოსაცდელები, სოფელ გვიშტიბში აიგო ხიდი. ამომრჩეველთა 82 წინადადებიდან შესრულებულია 73.

დმანისის რაიონში ამომრჩეველთა 127 განაწესისა და წინადადებიდან შესრულებულ იქნა 97. განაწესების შესაბამისად სოფელ მაშავერაში აშენდა ელექტროწისქვილი, სოფელ განთიადში ვადაზე ადრე დამთავრდა სკოლის მშენებლობა, დაბის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნა სასმელი წყლით და სხვ.

ასპინძის რაიონში კეთილმოეწყო ასპინძა-ოთის და ვარძია-აგარის გზები, ამუშავდა აბანო, გაიხსნა ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო და სხვ. ამომრჩეველების მიერ რაიონული საბჭოს დეპუტატებისათვის წაყენებული 99 განაწესისა და წინადადებიდან შესრულდა 88.

ამავე დროს წყალტუბოს, დმანისის და ასპინძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების საქმეში გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბოს რაიონის პატრიკეთისა და გვიშტიბის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დღემდე არ განუხილავთ ამომრჩეველთა წინადადებანი და განაცხადები. დმანისის რაიონში არ არის შესრულებული წინადადებანი სოფელ დიდი დმანისის ცენტრში ბაღის მოწყობის, სოფელ ვარდისუბნის რადიოფიცირებისა და აბანოს წესრიგში მოყვანის შესახებ და სხვ.

დმანისის რაიონის განთიადის, ასპინძის რაიონის იდუმალის და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოს აღმასკომს არ განუხილავს ამომრჩეველთა წინადადებანი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეეხებოდნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ადგილობრივი გზების კეთილმოწყობა, დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობა, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა ობიექტების მუშაობის გაუმჯობესება და სხვ.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი სუსტ კონტროლს უწევს ამომრჩეველთა წინადადებების განხორციელებას, სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც ყურადღებით არ ეკიდებიან ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხილვა-შესრულებას.

ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე თვით დეპუტატების როლის ამაღლებას ამომრჩეველთა წინადადებების განხორციელების საქმეში. ზოგიერთი დეპუტატი საჭირო ინიციატივას არ იჩენს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესასრულებლად. ამომრჩევლები ყოველთვის არ არიან ინფორმირებული მათ მიერ დაყენებულ წინადადებათა განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების წყალტუბოს, დმანისის და ასპინძის რაიონული საბჭოების აღმასკომებს საჭირო ზომები მიიღონ ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების დროულად აღრიცხვასა და განხილვას, უყურადღებოდ არ დატოვონ ამომრჩეველთა არც ერთი წინადადება და კრიტიკული შენიშვნა;

ბ) აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღონ ზომები მათს განსახორციელებლად და შესრულების შედეგების შესახებ აცნობონ დეპუტატებს და ამომრჩევლებს;

გ) ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი დეპუტატთა ინიციატივას და ამომრჩეველთა იმ წინადადებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით დასახლებული ადგილების კეთილმოწყობასთან, ქუჩების, მოედნების გამწვანებასთან, გზებისა და ხიდების მშენებლობა-შეკეთებასთან და სხვ.

გამონახონ დამატებითი საშუალებანი ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განსახორციელებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სისტემატური დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებსა და დეპუტატებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხორციელების საქმეში. ამასთან, მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიმართ ამომრჩეველთა წინადადებების დროულად განხილვისა და შესრულების უზრუნველსაყოფად;

ე) პერიოდულად შეისწავლონ ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების მდგომარეობა დაქვემდებარებულ საბჭოებში და მიიღონ საჭირო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა დასახონ სათანადო ღონისძიებანი მშრომელთა განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და დროულად განხორციელების საქმეში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 24 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

35 სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 39-ე, მე-40, 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებების და კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ვლადიმერ ალექსის ძე **ასათიანი** — რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ნათელა შალვას ასული **ვასაძე** — რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსაგან.

როინ ვიქტორის ძე **მეტრეველი** — რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მდივანი — საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრები:

პაკლე ვასილის ძე **ასლანიდი** — გაზეთ „ვეჩერნი თბილისის" კოლექტივისაგან;

ქეთევან ივანეს ასული **ბოლქვაძე** — ქუთაისის პირველი სამეანო გინეკოლოგიური საავადმყოფოს კოლექტივისაგან;

ნატალია მიხეილის ასული **ბურმისტროვა** — თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივისაგან;

ივანე მიხეილის ძე **დრაჩოვი** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსაგან;

თამარ ვლადიმერის ასული **იოსებაშვილი** — თელავის რაიონის ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

არდა მიხეილის ასული **ლაკობა** — სოხუმის ნ. ლაკობას სახელობის მე-10 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

ავთანდილ გიორგის ძე **ლომიძე** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინი საამქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ოთარ ილიას ძე **ლოლაშვილი** — თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

აჟდარ მამედალი ოღლი **მამედოვი** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის მარნეულის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ზინაიდა ხასანის ასული **მართალიშვილი** — ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

რაფაელ მუშეღის ძე **ოგანეზოვი** — თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

თამარ ილიას ასული **სალარიძე** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მახარაძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

სიმონ ხაიმის ძე **შათაშვილი** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისაგან;

მარგალიტა ხარიტონის ასული **ხარებოვა** — ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლიანა გიორგის ასული **ჯანაშია** — გეგეჭკორის რაიონის სოფელ თამაკონის კოლმეურნეობა „შრომის დროშას" კოლმეურნეებისაგან;

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ჯანჯღავა** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1970 წლის 31 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

36 საიუბილეო მედლით „მამაცური შრომისათვის. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად“ დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილების პროექტი საიუბილეო მედლით „**მამაცური შრომისათვის. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად**“ რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების დაჯილდოების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 25 მარტი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

37 გაზეთ „მებრძოლის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსებიდან ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ზუგდიდის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ორგანო გაზეთი „**მებრძოლი**“ დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 6 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ლ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვასილ ლეონტის ძე **კიკნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 6 მარტი.

39 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ა. გოგიჩაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მიხეილ ალექსანდრეს ძე **გოგიჩაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 19 მარტი.

40 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი ამხ. ვიქტორ დავითის ძე **გოცირიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 19 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

41 მწერალ წ. ა. თოროგომიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი წერუნ აკოფის ძე **თოროგომიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

42 ამხ. ვ. ნ. ხოდელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვასილ ნიკოლოზის ძე **ხოდელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

43 პროფესორ ვ. ნ. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ნესტორის ძე **მერკვილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

44 ამხ. ლ. მ. უკლებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ლევან მიხეილის ძე **უკლება** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 26 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

45 ამხ. პ. ი. ჩხობაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი, უმწიკვლო სამსახურისა და საბჭოთა ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, გადამდგარი გენერალ-მაიორი ამხ. პეტრე იოსების ძე **ჩხობაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 მარტი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **სოფლის მეურნეობის** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის მოხსენება „სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ“.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა გაწიეს კომისიის დადგენილებათა და რეკომენდაციათა შესასრულებლად.

ამასთანავე კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში არის ნაკლოვანებებიც. ზოგიერთ რაიონში ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე საშუალო-რესპუბლიკურ დონეზე დაბალია. დაბალია მექანიზაციის დონე ოჩამჩირის, წულუკიძისა და ჩოხატაურის რაიონების ჩაის პლანტაციებზე. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არადამაკმაყოფილებლად უვლიან ახალ პლანტაციებს. ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული რესპუბლიკის მეჩაიეების მომარაგება საწვიმარებით.

რიგ რაიონში ნელი ტემპით ახორციელებენ მუდმივი კომისიის რეკომენდაციებს ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების განვითარების შესახებ (აბაშის, ცხაკაიას, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონები).

კომისიის სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე ნაკლოვანებანი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების დარგში.

ინფორმაციით მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან. აგრეთვე სარეველებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ გამოვიდა მუდმივი კომისიის წევრი დეპუტატი ო. აბესაძე.

საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ი. სარიშვილმა, მ. ორაგველიძემ, შ. გრძელიშვილმა, ი. კავილაძემ, შ. მახაძემ, ი. ტოლიაშვილმა, შ. ეცადაშვილმა, საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ყანჩაველმა და სხვ.

* *

*

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების** მუდმივი კომისიის სხდომა. **მოისმინეს** კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. დანელიას მოხსენება — „რესპუბლიკაში სუვენირების გამოშვებისა და ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ".

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში სუვენირების გამოშვების მდგომარეობა უკანასკნელ წლებში ერთგვარად გაუმჯობესდა. 1969 წელს გამოშვებულია 27 პროცენტით მეტი სუვენირი, ვიდრე 1968 წელს. შეიქმნა ახალ სახეობათა სუვენირები, გაუმჯობესდა მათი ხარისხი, მხატვრული გაფორმება. მეტ წილ სახეობათა სუვენირები პოპულარობით სარგებლობს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ამასთან ერთად აღინიშნა ნაკლოვანებანი სუვენირების გამოშვებისა და ვაჭრობის სწორი ორგანიზაციის საქმეში. სუვენირებს ძირითადად აწარმოებენ რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში, ხოლო ბევრ რაიონში გამოყენებული არ არის სუვენირების გამოშვების ადგილობრივი შესაძლებლობანი. რაიონული და საქალაქო საბჭოები, სავაჭრო ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სუვენირებით მოვაჭრე სპეციალიზებული მაღაზიების, ფარდულების გახსნის და მსხვილ რაიონულ უნივერმაღებთან სექციების გამოყოფის საქმეს. მთელ რიგ ტურისტულ ტრასებზე არ არის სუვენირებით მოვაჭრე სათანადო ობიექტები და სხვ.

სამრეწველო საწარმოები მთელ რიგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფენ სუვენირების წარმოების გეგმის შესრულებას.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა მუდმივი კომისიის წევრის დეპუტატ პ. ნოზაძის მოხსენება „რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 28 თებერვლის დადგენილების შესრულების თაობაზე.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელმა რიგმა საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, ვაჭრობის, კვებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს აღნიშნული დადგენილების განხორციელებისათვის. ჯეროვანი ყურადღება მიექცა დიეტური კვების ახალი ობიექტების გახსნას და მათი სათანადო პროდუქტებით მომარაგების საქმეს.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ დღემდე არ არის გახსნილი დიეტური სასადილოები ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონებში. ნაკლოვანება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია დიეტური სასადილოების და მაღაზიების საჭირო ასორტიმენტის [illegible] ტებით მომარაგებაში.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები რ. ელიგულაშვილი, ვ. ასათიანი, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე ე. ჩოფიკაშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. იაქაშვილი, კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ო. ჩუბინიშვილი, ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. ქადეიშვილი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ლ. ქავთარაძე და სხვები.

განხილული საკითხების გამო მუდმივმა კომისიებმა მიიღეს სათანადო დადგენილებები. მუდმივი კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 24 მარტის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დააჯილდოვა 160 მრავალშვილიანი დედა. მათ შორის:

ქ. თბილისიდან	9
ქ. რუსთავიდან	7
ქ. ფოთიდან	2
ბოლნისის რაიონიდან	45
დუშეთის „	5
ზუგდიდის „	9
თეთრიწყაროს „	14
თელავის „	6
ლაგოდეხის „	23
მცხეთის „	7
სამტრედიის „	7
წალკის „	26